სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ნუგზარ ჯამბურიას

საკრებულოს N 54.02 ოლქის მაჟორიტარი ,

საკრებულოს წევრის ზაზა ადეიშვილის

ა ნ გ ა რ ი შ ი

ბატონო ნუგზარ,

მოგახსენებთ, ჩემი როგორც ქალაქ სამტრედიის N 54.02 საარჩევნო ოლქის მაჟორიტარის მიერ მიმდინარე 2023 წლის პირველი ცხრა თვის (1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე) განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშს.

მიმდინარე 2023 წელი დავიწყეთ ამომრჩევლებთან შეხვედრით (13.01.2023 წ.), სადაც წარმოდგენილი იყო მთელი სამაჟორიტარო ოლქის ამომრჩევლები, რომელზედაც გავაკეთე გასული წლის ანგარიში და წარმოვადგინე 2022 წლის სამოქმედო გეგმა.

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე საკრებულოს - 9 (8 გეგმიურ და 1 რიგგარეშე), ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის - 7, ფრაქცია ,, ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს - 4 და საკრებულოს უმრავლესობის - 3 სხდომის მუშაობაში. ნაყოფიერად ვთანამშრომლობდი მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპიკერატთან და აპარატთან, ასევე მუნიციპალიტეტის მერთან, მერიის სამსახურებთან და მერის წარმომადგენლებთან ქალაქ სამტრედიის ტერიტორიულ ერთეულში.

საანგარიშო პერიოდში ჩემი სამაჯორიტარო ოლქის ტერიტორიაზე განხორციელდა და ახლაც მიმდინარეობს რიგი ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები, რომელთა შორის უნდა გამოვყოთ:

ა) მოასფალტებულ იქნა იპოდრომის შიდა ტერიტორია, შეკეთდა თავლა, შემოღობვა. იგეგმება ტრიბუნების გაკეთება იპოდრომის საასპარეზო მოედნის გასწვრივ.

ბ) დღე-დღეზე იწყება ქალაქის #4 ისტორიული სკოლის ადგილზე თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისი სკოლის მშენებლობა. პროექტირება-მშენებლობას ახორციელებენ ტენდერში გამარჯვებული კომპანიები: შპს პრაიმ ბეტონი და ქალაქპროექტის ამხანაგობა. პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებითა და პატრონაჟით ხორციელდება;

გ) განხორციელდა ჭავჭავაძის, თბილისის, წერეთლის, რუსთაველის, 9 აპრილის ქუჩების ასფალტის საფარის რეაბილიტაცია (ორმული შეკეთება);

დ) ჭავჭავაძისა (პოლიკლინიკის მოპირდაპირედ) და სანაპიროს (ილორის სკოლის წინ) ქუჩებზე მოეწყო მგზავრთა მოსაცდელი;

ე) კეთილმოეწყო დადიანის ქუჩაზე მდებარე სარაგბო სტადიონი. დამატებით იგეგმება დამხმარე ინფრასტრუქტურის განვითარება და მაყურებელთა ტრიბუნების მოწყობა;

ვ) ხიბლარის, თავისუფლებისა და კრავეიშვილების ქუჩებზე, ასევე გამსახურდიას ქუჩის მიმდებარედ მოეწყო მინი სპორტული მოედნები და სატრენაჟორო კომპლექსები;

ზ) რეაბილიტირდა ჭავჭავაძის ქუჩაზე (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის უკანა მიმდებარედ) მდებარე კაუჩუკის საფარიანი საკალათბურთო მოედანი, მოეწყო კაუჩუკის საფარი;

თ) რესპუბლიკის, ჭავჭავაძისა და რუსთაველის ქუჩებზე მიმდინარეობს სანიაღვრე არხების გაწმენდა და რეაბილიტაცია;

ი) წლის ბოლომდე დაიწყება თბილისის ქუჩა - ბალნეოლოგიური კურორტის მიმართულების მაგისტრალური სანიაღვრე გამტარი არხის მშენებლობა;

კ) გადაიხურა წერეთლის ქ. # 1, კრავეიშვილის ქ. # 2, და წერეთლის ქუჩაზე მდებარე ყოფილი ბამბის სართავისსა და მეფუტკრეობის მეურნეობის მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსები.

2023 წლის პირველი ათი თვის ანგარიშში მინდა შევეხო და წარმოვაჩინო ის მთავარი პრობლემები, რომლებიც ტრადიციულად აწუხებს ქალაქ სამტრედიას და მათ შორის ჩემს სამაჟორიტარო ოლქსაც:

1. ქალაქ სამტრედიის კანალიზაციის, წყალარინებისა და სანიაღვრე სისტემების მოწესრიგება და განვითარება;
2. ქალაქის ტერიტორიაზე არსებული მწვანე სივრცეების, პარკების, სკვერების, ბაღების შემდგომი რეაბილიტაცია, მოვლა-პატრონობა და განვითარება (განსაკუთრებით ილორის დენდროლოგიური პარკის);
3. ყოფილი საკოლმეურნეო ბაზრის მიმდებარე ტერიტორიებზე გარე ვაჭრობის მოწესრიგება;
4. საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;
5. ქალაქის ცენტრალური ქუჩების რეაბილიტაცია და მეორეხარისხოვანი გზების კეთილმოწყობა;

ჩემს მიერ ინიცირებულია, მაგრამ ჯერ არ დაწყებულა შემდეგი პროექტები:

ა) ქალაქ სამტრედიაში მრავალფუნქციური თანამედროვე სტანდარტების სპორტის სასახლის მშენებლობა;

ბ) ქალაქის ტერიტორიაზე შესაბამის და შესაფერის (მაქსიმალურად შესაძლებელ თვალსაჩინო) ტერიტორიაზე საქართველოს პირველი რესპუბლიკის სახელობის სკვერის მოწყობა.

იმედია მიმდინარე მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე მნიშვნელოვანი პროგრესი გვექნება ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების გადაჭრის მიმართულებით და ქმედით ნაბიჯებს გადავდგამთ სპორტის სასახლისა და პირველი რესპუბლიკის სკვერის მოწყობის დასაწყებად.

ზაზა ადეიშვილი

2023 წლის 2 ოქტომბერი.